

რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტესტირება?

... ნებისმიერი პოლიტიკის, პროგრამისა თუ პროექტის დამტკიცება ხდება მხოლოდ ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, როგორცაა:
(1) ხომ არ არსებობს შედეგის მიღწევის უკეთესი გზა?
(2) ხომ არ არსებობს მოცემული რესურსების უკეთ გამოყენების საშუალება?

გაერთიანებული სამეფოს ხაზინის “მწვანე წიგნი”

შესავალი

განვითარებულ ქვეყნებში არსებობს საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ დემოკრატიული საზოგადოებრივი პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სანდო მონაცემებს. დასაბუთებული პოლიტიკა განისაზღვრება, როგორც “მიდგომა, რომელიც ეხმარება ადამიანებს, მიიღონ გაცნობიერებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამისა და პროექტის შესახებ, ხოლო პოლიტიკა შეიმუშაონ და განახორციელონ უპირველესად კვლევის მოწინავე შედეგებზე დაყრდნობით”. მოცემული მიდგომა ეწინააღმდეგება წარმოდგენებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, რომლის შემუშავებაც ძირითადად ხდება ან ფაქტების შერჩევითი გამოყენებით (ანუ ერთეული კვლევების საფუძველზე კვლევის ხარისხის მიუხედავად) ან ცალკეული პირებისა და ჯგუფების დაუსაბუთებელი მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც ხშირად ნაყოფია იდეოლოგიური შეხედულებებისა, შინაგანი რწმენის ან სპეკულაციური ვარაუდებისა”. (წყარო: Goodsell et al, 2010).

დასაბუთებული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ინტერვენციის მუდმივი შეფასება მათი გამოყენების¹, ეფექტიანობისა² და ეკონომიკური ეფექტურობის³ მიხედვით. ეს პირველ რიგში ეხება (ანტი)ნარკოტიკულ პოლიტიკას, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ პოლიტიკურ პრიორიტეტად განვითარებულ ქვეყნებში.⁴

სწორედ დასაბუთებული დემოკრატიული მართვის პრინციპებმა უბიძგა წინამდებარე ანგარიშის ავტორებს, მიემართათ კვლევისთვის, რომელიც სრულიად ნოვატორულია საქართველოს ნარკოპოლიტიკის სფეროში. 2006 წლის შემდეგ ქუჩაში პოლიცია ყოველწლიურად აკაავებს დაახლოებით 50 000 ადამიანს და ამოწმებს ნარკოტიკის

¹ შეკითხვის დასმა - “იყო თუ არა ინტერვენცია გამოყენებული ისე, როგორც დაიგეგმა?”

² “მიღწეული იქნა თუ არა ჩარევის შედეგად პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ დასახული მიზნები?”

³ ისეთი შეკითხვების დასმა, როგორცაა “აჭარბებს თუ არა ჩარევით მიღებული სარგებელი ჩარევის ღირებულებას? არსებობს თუ არა ჩარევის სხვა, უფრო ოპტიმალური სარგებლისა და ღირებულების თანაფარდობის მქონე ზომა იგივე მიზნების მისაღწევად?” და ა.შ.

⁴ როგორც ნაჩვენებია, მაგალითად, ევროკავშირის ნარკოპოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შეფასებით, ავსტრალიის ნარკოსტრატეგიის რეგულარული და პერიოდული შეფასებებით, ნარკოტიკების კონტროლის აშშ ოფისის წლიური მოხსენებებით, კანადის ნარკოპოლიტიკის შეფასებებით, ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული ნარკოსტრატეგიებით და/ან სამოქმედო გეგმების შეფასებებით და სხვ.

მომხმარებელზე (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის №2962-ის ცვლილებით⁵ და №1244-278/6 ერთობლივი ბრძანებით⁶ ნარკოპოლიტიკაში შეტანილი ცვლილების თანახმად). ნარკოტიკებზე ტესტის დადებითი პასუხის შემთხვევაში დაკავებულს ემუქრება დიდი ჯარიმა ან პატიმრობა. ამ პოლიტიკის ლოგიკა ასეთია: მკაცრი სადამსჯელო ზომები (ა) უბიძგებს ნარკოტიკის მომხმარებელს, შეწყვიტოს ნარკოტიკის მოხმარება და (ბ) იცავს ბავშვებს და მოზარდებს აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების გასინჯვისაგან. მიუხედავად ამისა, ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეები მუდმივად ამტკიცებენ, რომ “ნადირობა” ათასობით ადამიანზე ტესტის ჩატარების მიზნით არავითარ ან უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბებზე. მოცემული კვლევის მიზანია, ნათელი მოჰფინოს ამ დისკუსიას საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

კვლევაში შესული შეკითხვები

- ა) რა თანხა დახარჯა 2008 წელს საქართველომ ნარკოტიკის მოხმარებაზე რანდომული ტესტების ჩატარების ღონისძიებაზე ქუჩის პირობებში და შემდგომ საკანონმდებლო ზომებზე?
- ბ) რა გავლენა მოახდინა ნარკოლოგიურმა შემოწმებამ ნარკოტიკების მომხმარებლებზე მათი ნარკოკარიერის, მოხმარების წესისა და მოხმარებასთან დაკავშირებული დაავადებების თვალსაზრისით?
- გ) რა მიზნების მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი ა) პუნქტში მითითებული თანხები ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის ან სხვა სამკურნალო და პრევენციული ზომების განხორციელებაზე რომ დახარჯულიყო?

მეთოდოლოგია

ნახევრადეკონომიკური ხასიათის კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით: გამოკითხვები სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენებით, თვისებრივი ინტერვიუები და მსჯელობები ფოკუს-ჯგუფებში, დანახარჯის კალკულაცია და ეკონომიკური მოდელირება. 2008 წლის მონაცემები მოპოვებული იქნა ყველა შესაბამისი სამინისტროდან და სახელმწიფო ორგანოდან. ინტერვიუ ჩატარდა 500 პირთან, რომლებიც ქუჩაში დააკავეს მინიმუმ ერთხელ 2008 წლის მანძილზე და რომელთა შარდიც შეამოწმეს ნარკოტიკის მოხმარების დასადგენად.

დაფინანსება, სამეცნიერო ზედამხედველობა

კვლევა დაფინანსდა “ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს” მიერ, როგორც გრანტის HPI/HRD/01/09-16513 შემადგენელი ნაწილი და განხორციელდა ორგანიზაციების კოალიციის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

*დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი “ალტერნატივა ჯორჯია”
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი და
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.*

⁵ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 28.042006 წელს შეტანილი №2962-ის ცვლილება ადგენს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევაზე ჯარიმის ხუთმაგ ზრდას.

⁶ შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის საერთო ბრძანება №1244-278/6

„ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ – განსაზღვრავს ნარკოტიკების მოხმარებაზე ტესტის ჩატარების წესებს.

სამეცნიერო ზედამხედველობა განახორციელა ექიმმა და ფილოსოფიის დოქტორმა თომას ზაბრანსკიმ (პრადის ჩარლზის უნივერსიტეტში ადიქტოლოგიის ცენტრის კვლევითი და განვითარების პროგრამების უფროსი), რომელიც იყო მთავარი მკვლევარი და კონსულტანტი მეთოდოლოგიურად მსგავსი რამდენიმე კვლევის ფარგლებში, რომლებიც განხორციელდა ჩეხეთის მთავრობის, ჩეხეთის სამეცნიერო სააგენტოების და საერთაშორისო ორგანოების დაკვეთით.

კონსულტაციები რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით გასწავლა საერთაშორისო ფონდმა კურსაციომ.

შედეგები

2008 წელს ჩატარებული ნარკოტიკების მოხმარებაზე 43 029 ტესტირებიდან 19 302 (45%) იყო დადებითი, ერთ ან მეტ კონტროლირებად ნივთიერებაზე. 1 605 პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ნარკოტიკის განმეორებითი მოხმარების ბრალდებით. საქმეზე მტკიცებულებად გამოყენებული იყო სწრაფი ტესტების შედეგები. აღნიშნული ტესტების შედეგები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სწრაფ/მიახლოებით შედეგებად ითვლება და არ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც მტკიცებულება, და აუცილებლად უნდა დადასტურდეს სტანდარტული ლაბორატორიული მეთოდებით, რაც საქართველოში არასდროს გაკეთებულა. 18 076 245 ლარი ამოღებულ იქნა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო დაკისრებული ჯარიმის სახით. ნარკოტიკების მოხმარებაზე ტესტირების საშუალო ეპიზოდს მოხმარდა მინიმუმ 8.43 პოლიციელი/სთ, რაც ნიშნავს, რომ 2008 წელს იმ პოლიციელების საერთო სამუშაო დროის დაახლოებით 10%, რომლებიც აკონტროლებენ ქუჩებს, დაიხარჯა ნარკოტიკის მოხმარებაში ეჭვმიტანილების დაკავებაზე და მათ შემოწმებაზე. ყველაზე კონსერვატიული, მინიმალისტური გაანგარიშებით ნარკოტიკების მოხმარებაზე ტესტირებისა და შემდგომი სამართლებრივი პროცედურებისა და ზომების წლიურმა ხარჯმა 2008 წელს შეადგინა დაახლოებით 18 მილიონი ლარი (პოლიცია - 5 831 463 ლარი, ტესტირება ნარკოტიკების მოხმარებაზე - 1 528 679 ლარი, სასამართლო - 658 459 ლარი, პროკურატურა - 6 378 100 ლარი, დაპატიმრება - 8 061 567 ლარი). 84.5% შემთხვევაში ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ჯარიმები გადახდილ იქნა არა დაჯარიმებული პირის კანონიერი შემოსავლებიდან, არამედ სხვა წყაროებიდან (ოჯახი, მეგობრები, სესხები, კრიმინალური საქმიანობა). 491 შემოწმებული პირიდან კვლევის შენარჩევში, მხოლოდ 36-მა (11%) შეწყვიტა ნარკოტიკების მოხმარება შემოწმებისა და დასჯის შემდეგ. მაგრამ მათი უმრავლესობა (53%) დაუბრუნდა ნარკოტიკებს 3 თვეზე ნაკლებ დროში, ხოლო ყველა მათგანი ნარკოტიკების მოხმარებას დაუბრუნდა ტესტირებიდან/დასჯიდან 11 თვის შემდეგ.

დასკვნები

კვლევის შედეგები ცხადჰყოფს, რომ ნარკოტიკების მოხმარებელთა დასჯა და დაპატიმრება საქართველოში ახდენს უმნიშვნელო (ან არავითარ) გავლენას ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქცევაზე და წარმოადგენს ძალოვანი სტრუქტურების და სასამართლო სისტემის ისედაც შეზღუდული რესურსების არაეფექტურ ხარჯვას. სადამსჯელო ზომების შედეგად, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, არ მოხდა ნარკოტიკების მოხმარების შემცირება. ამ ზომებმა შედეგად გამოიღო 1 605 პირის კრიმინალიზაცია, რაც როგორც საყოველთაოდ ცნობილია, იწვევს ნარკოტიკების მოხმარებლების ჩათრევას არა მხოლოდ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კანონდარღვევებში, არამედ კრიმინალურ ქმედებებში, რომლებიც საზოგადოებისთვის გაცილებით მეტ საშიშროებას წარმოადგენს.

ჩვენ შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ ნარკოტიკების მოხმარებაზე ტესტირების მომხრეების მოლოდინი არ გაამართლა ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბის

შემცირების თვალსაზრისით და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქართველ საზოგადოებას. ფულად ზარალს ემატება ის არამატერიალური ზარალები, რომელთა ფულადი ფორმით გამოსახვა არ ხერხდება (ბაზრის მეორეული შედეგები, დამცირება, რომელიც გადაიტანეს პირებმა შემოწმების შედეგად, ოჯახის წევრების განცდები, ნარკოტიკების მომხმარებელთა კრიმინალიზაცია და სხვ.). გარდა ამისა, შესწავლილი ინტერვენციის (ქუჩის ნარკოტესტირება) ნულოვანი ზემოქმედების გათვალისწინებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოლიციის ორი სამსახურის (საპატრულო და კრიმინალური) ორიენტირებამ ქუჩაში ახალგაზრდებზე “ნადირობაზე”, მათ (და სხვა სამართალდამცავ ორგანოებსაც) დააკარგინა ძვირფასი რესურსები, რომელთა გამოყენებაც დანიშნულებისამებრ – საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მიზნით - უფრო უპრიანი იქნებოდა.

რეკომენდაციები

- **სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნას 273-ე მუხლი, რის შედეგადაც 1600 ადამიანი ასცდება ციხეში სასჯელის მოხდას და დაიზოგება 8 მილიონზე მეტი ლარი, რომელიც საპატიმროებში ამ ადამიანების ყოფნას ხმარდება.** კვლევებმა აჩვენა, რომ დაპატიმრება არ არის ეფექტური ზომა ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბების შესამცირებლად. დასჯისა და დაპატიმრების შიში (დიდად) არ უბიძგებს ადამიანს, მიიღოს ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილება. არ არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია დაპატიმრების მაჩვენებელსა და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას შორის სხვადასხვა ქვეყნებში (Bewley-Taylor et al, 2007). ნარკოტიკებისა და დანაშაულის გაეროს ოფისის (UNODC) თანახმად, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო დაპატიმრებულთა 70-98% უბრუნდება ნარკოტიკების მოხმარებას სასჯელის მოხდიდან ერთი წლის მანძილზე, თუ მათ არ ჩაუტარდათ ეფექტური მკურნალობა.
- **პოლიციის პრიორიტეტი უნდა გახდეს ბრძოლა იმ დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც რეალურად ზემოქმედებს კრიმინალურ სიტუაციაზე და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, და არა ნარკოტიკების მომხმარებელთა დევნა.** პოლიციის რესურსების მეთოდოლოგიური ჩარჩო იხ. მაგ., Craig 1987, Goldstein 1989, Benson et al 1992, 2001, etc.
- **დაზოგილი თანხა (8 მილიონი ლარი) მიმართულ იქნას თანამედროვე, სტრუქტურირებული, ევროკავშირის ტიპის ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და რეალიზებაზე.** ასეთი ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოხდება მოთხოვნის შემცირების იმ ეფექტური პროგრამების (მკურნალობა, ზიანის შემცირება, რეაბილიტაცია, პრევენცია)⁷ დანერგვა და/ან მოქმედების არეალის ზრდა, რომლებიც რენტაბელურია, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის თვალსაზრისით. კვლევებმა ცხადჰყო, რომ წამალდამოკიდებულების მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს კრიმინალურ ქცევას და მკურნალობის ეკონომიკური სარგებელი რამდენჯერმე აჭარბებს მის ღირებულებას (Stevens et al, 2005).⁸

⁷ თეორიული მაგალითის სახით განვიხილოთ: 8 მილიონი ლარის განთავსება ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების მიმართულებით საკმარისი იქნება 1200 პაციენტისთვის ერთწლიანი მეთადონით მკურნალობის განსახორციელებლად, 2700 პაციენტისთვის ამბულატორული დეტოქსის ჩასატარებლად, 700-ზე მეტი პაციენტისთვის სტაციონარული დეტოქსის ჩასატარებლად, 26000 პირისთვის ფსიქო-სოციალური კონსულტაციის გასაწევად და 60000-ზე მეტი პირის ჩასართავად ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამებში (გამოთვლები მოყვანილია წყაროდან: Radimecky et al, 2006).

⁸ “მკურნალობაზე მისაწვდომობას უდიდესი სოციალური სარგებელი მოაქვს. მკურნალობაში დაბანდებული ყოველი 1 აშშ დოლარი ზოგავს 4-7 აშშ დოლარს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის, სისხლის სამართალწარმოებისა და ქურდობის თავიდან აცილების ხარჯზე. თუ ამას დავუმატებთ სამედიცინო მომსახურების დანაზოგს, საერთო დანაზოგისა და დანახარჯის ფარდობამ შეიძლება მიაღწიოს 12:1.

გამოყენებული ლიტერატურა

Alex Stevens, Mike Trace and Dave Bewley – Taylor, Reducing drug related crime: an overview of the Global evidence, *The Beckley Foundation Drug Policy Program*, 2005

Benson, B., Kim, I., Rasmussen, D., & Zuehlke, T. W. (1992). Is property crime caused by drug use or by drug enforcement policy? *Applied Economics*, 24, 674-692.

Benson, B. L., Leburn, I. S., & Rasmussen, D. W. (2001). The Impact of Drug Enforcement on Crime: An Investigation of the Opportunity Cost of Police Resources. *Journal of Drug Issues*, 31(4), 989-1006.

Craig, S. G. (1987). The Deterrent Impact of Police: An Examination of a Locally Provided Public Service. *Journal of Urban Economics*, 21, 298-311.

Dave Bewley – Taylor, Chris Hallam, Rob Allen, The Incarceration of drug offenders: an overview, *The Beckley Foundation Drug Policy Program*, 2007

Davies, Ph. Is Evidence-Based Government Possible?, Jerry Lee Lecture 2004, 4th Annual Campbell Collaboration Colloquium, Washington D.C., 19 February 2004. Cited in Goosdeel, A., et al. (2010) Joint manual: Building a national drugs observatory. Lisbon: European Monitoring Centre on Drugs and Drug Addiction (In Press)

Goldstein, P. J. (1989). Drugs and violent crime. In N. A. Weiner & M. E. Wolfgang (Eds.), *Pathways to criminal violence* (pp. 16-48). Newbury Park, California: Sage Publications.

Radimecky J., Otiashvili D., Tsertsvadze V., 2006 Investing in the Healthy Future: Action Plan of Drug Policy in Georgia in 2007-2009 – Development in areas of treatment and risk minimizations, *Union Alternative Georgia and Georgian Harm Reduction Network*

United States of America, Department of Health and Human Services, Centers for Disease Control, *Policy Issues and Challenges in Substance Abuse Treatment*, 2002 (see www.cdc.gov/idu/facts/Policy.htm)

UNODC, Investing in Drug Abuse Treatment, *A Discussion Paper for Policymakers*, 2003